საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

18/03/2022
N 09-02-16/125

125-09-02-16-2-202203181507

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურის და სპორტის მინისტრს
ქალბატონ **მაია ხაჯიშვილს**

სადეპუტატო კითხვა

ქალბატონო მაია,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, წერილობით მოგვაწოდოთ ინფორმაცია, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ამოქმედებიდან (2017 წლის 8 დეკემბრიდან) - 2022 წლის 18 მარტის მდგომარეობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ:

- არის თუ არა გაცემული გრანტი;
- გრანტის გაცემის თარიღი;
- გრანტის მოცულობა (საგრანტო თანხა);
- გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის გრანტის გაცემის დოკუმენტის პროექტი მის გაფორმებამდე იყო თუ არა წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები